ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2566392

ნომერი: AR1397694

თარიღი : 19.04.2016

გაცემის თარიღი : 26.04.2016

გაცნობის თარიღი : 26.04.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მოედანი გულია , კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ. 8/85) / ქალაქი თბილისი , მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის.;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარი ხოფერია პ/ნ 01005011807
- ქ,,თბილისი მარცხენა სანაპირო 3/15

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

სამშენებლო ღობეზე I კლასის სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - კრწანისი, გულიას მოედანი, კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ. 8/85) / ქალაქი თბილისი, მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის. შპს „ ორთაჭალა 2014“–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ სამშენებლო ღობეზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.
პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური”. ,, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტიდან N 882016228777 13/04/2016წ. საკადასტრო კოდი N 01.18.05.008.140, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი; მინდობილობა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - კრწანისი, გულიას მოედანი, კულტსამეურნეო საქონლის მაღაზიის მიმდებარედ, (ნაკვ. 8/85) / ქალაქი თბილისი, მდინარე მტკვრის, გულიას ქუჩასა და ახალ მაგისტრალს შორის. შპს „ ორთაჭალა 2014“–ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ სამსენებლო ღობეზე სარეკლამო აბრის მოწყობის შესაძლებლობას.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.